



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N23

ქ. მარნეული

27.12.2021 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:
საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, ტარიელ მამედოვი, რიჩარდ გიგანი, როშან ისკანდაროვი, ბესიკ გელენიძე, თეონა ფარჯიანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ადილ ალიევი, გივი გიორგაძე, ვასილ ხახულაშვილი, ვანო ბურნაძე, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, არსენ ახვერდიანი, ლევონ აკოპიანი, მათა გელაშვილი, ადილ გურბანოვი, ომარ ირიშოვი, მახარატ ალახვერდიევი, მახირ ბაირამოვი, ნაზილა მუსტაფაევა, გიუნაშ რიზაგულიევა, აიაზ ხუდიევი, თამარ აბასოვა, რახმან მუსაევი, სოსო ინაძე რამალ ახმედოვი, მეხტი ასკეროვი.

არ ესწრებოდა:

ლაშა ქველაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ანარ პირიევი, ნარგიზ ალიევა, დავით ქიმაძე, მარინა პეტროვა.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი კენან ომაროვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე როინი დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, ამავე სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი მამუკა შუბითიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით ხარშილაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბექა აბდელანი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი სპეციალისტი მარიამ კაპანაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტი ხელშეკრულებით აგილ ამირჯანოვი.

ასევე ესწრებოდნენ: რადიო მარნეულის და მარნეული TV-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შესახებ.
4. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის №08 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
5. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
6. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
10. სპორტსმენების წახალისების შესახებ.
11. სოციალური საკითხები.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 24 დეკემბრის N32-3221358162 წერილით წარმოდგენილი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის N01 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N44. 27.12.2021 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 24 დეკემბრის N32-3221358162 წერილით წარმოდგენილი „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N45. 27.12.2021 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ადილ ალიევმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 23 დეკემბრის N32-322135794 და 2021 წლის 24 დეკემბრის N32-3221358181 წერილებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების გათვალისწინებით ითხოვა მხარდაჭერა, რათა მოწონებული იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N79. 27.12.2021 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 24 დეკემბრის N32-3221358119 წერილით წარმოდგენილი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მერიის თანამდებობის პირთა და მერიის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N°08 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N46. 27.12.2021 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 24 დეკემბრის N32-3221358216 წერილით წარმოდგენილი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №17 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N80. 27.12.2021 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 24 დეკემბრის N32-3221358175 წერილით წარმოდგენილი „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის N12 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N83. 27.12.2021 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოხელეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი. მან ასევე ამ დადგენილების გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს გაუკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასის გაზრდამ გამოიწვია სადეპუტატო უფლებამოსილების შესასრულებელი ხარჯების გაზრდა საკრებულოს იმ წევრებისთვის, რომლებიც არ არიან საკრებულოს თანამდებობის პირები და წარუდგინა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილებები: N47 და N48. 27.12.2021 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N84. 27.12.2021 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განკარგულების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N81. 27.12.2021 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 21 დეკემბრის N32-322135564 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს ერთჯერადი ფულადი ჯილდოს გაცემა, მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენების ლუკა კაპანაძის, რატი ზაზაძის, გიორგი ჟორჯოლიანის, სალომე ხარშილაძის და მათი მწვრთნელების: გიორგი მჭავანაძის, დემური ჟორჯოლიანის, ზურაბ მუმუკუდიანის და გიორგი გორდეზიანის წახალისების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N82. 27.12.2021 წ).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ დახმარებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ოცდამესამე რიგგარეშე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:
ამირან გიორგაძე